დანართი 1

ახალციხის მუნიციპალიტეტის მერის სათათბირო ორგანოს „სამოქალაქო მრჩეველთა საბჭო“-ს დებულება

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 861 მუხლის შესაბამისად, წინამდებარე დებულება განსაზღვრავს ახალციხის მუნიციპალიტეტის მერის სათათბირო ორგანოს _ „სამოქალაქო მრჩეველთა საბჭო“-ს უფლებამოსილებას, მიზნებსა და საქმიანობის წესს.

მუხლი 1.ზოგადი დებულებანი

1„სამოქალაქო მრჩეველთა საბჭო“ (შემდგომში საბჭო) - იქმნება მუნიციპალიტეტის მერის უფლებამოსილების ვადით, რომელიც წარმოადგენს ახალციხის მუნიციპალიტეტის მერის სათათბირო ორგანოს და იქმნება ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საქმიანობის გამჭვირვალობისა და თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა მონაწილეობის ხელშეწყობის მიზნით.

2. საბჭოს საქმიანობის სამართლებრივი საფუძვლები: საქართველოს კონსტიტუცია, „ევროპული ქარტია ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“, „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონი, წინამდებარე დებულება საქართველოში მოქმედი კანონმდებლობა.

3. თავისი სტატუსით საბჭო წარმოადგენს სათათბირო ორგანოს, რომლის მიერ შემუშავებული რეკომენდაციები, წინადადებები და მოსაზრებები გათვალისწინებულ იქნება ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების მიერ უფლებამოსილების განხორციელებისას.

მუხლი 2. საბჭოს მიზნები

1. საბჭოს ძირითადი მიზნებია:

ა) საზოგადოებრივი აზრის მაქსიმალური გათვალისწინება, შესაბამისი რეკომენდაციებისა თუ წინადადებების მომზადება და მიწოდება ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოში მათი შემდგომი გათვალისწინების მიზნით;

ბ) რეკომენდაციებისა და წინადადებების შემუშავება საბჭოს წევრების ჩართულობის კუთხით და მათი ახალციხის მუნიციპალიტეტის მერისთვის წარდგენა.

მუხლი 3. საბჭოს უფლება-მოვალეობანი

1. მუნიციპალიტეტის მერი ვალდებულია სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს განსახილველად წარუდგინოს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პროექტი, მუნიციპალიტეტის სივრცითი დაგეგმარების დოკუმენტები, მუნიციპალიტეტის გეოგრაფიული ობიექტების სახელდების შესახებ წინადადებები, ინფრასტრუქტურული და სოციალური პროექტები, აგრეთვე სხვა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების პროექტები რომელთა განხილვასაც მოითხოვს საბჭო.

მუხლი 4. საბჭოს სტრუქტურა

1. საბჭო შედგება სათათბირო ხმის უფლების მქონე არანაკლებ 10 წევრისგან.

2. საბჭოს შემადგენლობაში შედიან მეწარმე იურიდიული პირების, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და მუნიციპალიტეტის მოსახლეობის წარმომადგენლები.

3. სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოში არ უნდა იყოს ერთი სქესის წარმომადგენელთა რაოდენობა 1/3-ზე ნაკლები. სამოქალაქო მრჩეველთა საბჭო უფლებამოსლებას კარგავს თუ დარღვეული ზემოაღნიშნული პრინციპი.

4. საბჭოს ტექნიკურ საქმიანობას უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციულ და იურისიდული სამსახური;

5. საბჭო უფლებამოსილია თუ მას ესწრება საბჭოს წევრთა სრული შემადგენლობის ნახევარზე მეტი.

6. სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს შემადგენლობას ამტკიცებს მუნიციპალიტეტის მერი.

7. სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს ხელმძღვანელობს საბჭოს თავმჯდომარე, რომელიც საბჭოს მიერ აირჩევა საბჭოს პირველივე სხდომაზე, ხმათა უბრალო უმრავლესობით.

მუხლი 6. საბჭოს საქმიანობის წესი

1. სამოქალაქო მრჩეველთა საბჭო იკრიბება არანაკლებ 3 თვეში ერთხელ.

2. საბჭოს წევერები უფლებამოსილნის არიან დამოუკიდებლად, ინდივიდუალურად განიხილონ მათ კომპეტენციას მიკუთვნებული საკითხები და მიღებული წინადადებები ან/და რეკომენდაციები წარუდგინონ მუნიციპალიტეტის მერს საბჭოს სხდომაზე.

3. საბჭოს გადაწყვეტილება ფორმდება სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს სხდომის ოქმით.

4. საბჭო გადაწყვეტილებებს იღებს სრული შემადგენლობის ½ + 1 ხმით. თითოეული წევრი სარგებლობს ერთი ხმის უფლებით. ხმის გადაცემა დაუშვებელია.

5.საბჭოს თითოეულ წევრს უფლება აქვს საბჭოს სხდომაზე განსახილველი საკითხების გარშემო წარმოადგინოს საკუთარი წინადადებები და მოსაზრებები.

6. მრჩეველთა საბჭოს სხდომის ოქმი ქვეყნდება საჯაროდ (ახალციხის მუნიციპალიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე ან/და სტენდზე). მუხლი

7. საბჭოს უფლებამოსილების შეწყვეტა

1.საბჭოს უფლებამოსილება უწყდება კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

მუხლი 8. დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა

1.საბჭოს დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხორციელდება მუნიციპალიტეტის მერის მიერ კანონით განსაზღვრული წესით